

„დიდაქე“ - მოძღვრება თორმეტი მოციქულისა

(მოძღვრება უფლისა თორმეტი მოციქულის მიერ წარმართთა მიმართ)



I. 1. გზა არის ორი: ერთი სიცოცხლისა და ერთი სიკვდილისა. ამ ორ გზას შორის დიდი სხვაობაა.

2. სიცოცხლის გზა ამგვარია: პირველად შეიყვარე ღმერთი, შემოქმედი შენი (11 სჯ. 6,5; ზირ. 7,30; მათე 22,37). მეორედ - მოყვასი შენი, როგორც საკუთარი თავი (ლევ. 19,18; მათე 22,39). ყველაფერი ის, რაც არ გასურს, რომ შეგემთხვეს შენ, არც შენ შეამთხვიო სხვას (ტობ. 4,15; მათე 7,12; ლუკა 6,31).

3. ამ სიტყვათა მოძღვრება ასეთია: აკურთხეთ თქვენი დამაწყევრები და ილოცეთ თქვენი მტრებისათვის, იმარხულეთ მათთვის, ვინც გდევნით თქვენ (მათე 5,44; ლკ. 6,28)¹. რა მაღლი იქნება, თუკი შეიყვარებთ თქვენს მოყვარულებს? ნუთუ ამასვე არ შვრებიან წარმართებიც (მათე 5,46 - 47; ლკ. 6,32 - 33)? ხოლო თქვენ შეიყვარეთ მოძულენი თქვენი და არ გეყოლებათ მტერი (მათე 5,44; ლკ. 6,27).

4. განეშორე ხორციელ და სხეულებრივ სურვილებს (შერ. 1 პეტრე 2,11)². თუკი ვინმე მარჯვენა ყბაში გაგარტყამს, მიუშვირე მას მეორე (მათე 5,41) და იქნები სრული. თუ ვინმე ერთ მილიონს³ გაგარბენინებს, მასთან ერთად განვლე ორი (მათე 5,41). თუკი ვინმე მოსასხამს აგართმევს, უბოძე მას პერანგიც (მათე 5,40; ლკ. 6,29). თუ ვინმე შენგან რამეს წაიღებს, აღარ მოთხოვო, რადგან ვერ ძალგდის (შდრ. ლკ. 6,30)⁴.

5. ყველას ვინც კი გთხოვს, მიუბოძე და აღარ მოთხოვო (მათე 5,42). მამას სურს, ყველას მიანიჭოს თავისი მაღლი. ნეტარია ის, ვინც გასცემს თანახმად მცნებისა, რადგანაც არ განისჯება იგი. ვაი მას, ვინც თვით მიიღებს; თუ მოვალეა, რომ მიიღოს, არ განისჯება; თუკი არ არის მოვალე, განისჯება იმის გამო, რატომ მიიღო და რა მიზნით. საპყრობილეში მიყვანილს გამოჰკითხავენ მის საქმეებს და მანამდე არ გაუშვებენ, ვიდრე უკანასკნელ კოდრატსაც⁵ არ აზღვევინებენ (მათე 5,26; ლკ. 12,53).

6. ამის შესახებაც თქმულა: „გაიოფლოს მოწყალეობა შენი შენსავე ხელებში, ვიდრე შეიცნობ, თუ ვისთვის გასცემ“ (ზირ. 12,1).

II. 1. მოძღვრების მეორე მცნება:

2. არა კლა, (გამოსვლ. 20,15; 11 სჯ. 5,18), არა იმრუშო (გამოსვლ. 20,3; 11 სჯ. 5,17). გრძნეულებას, სიძვას, პარვას (გამოსვლ. 20,14; 11 სჯ. 5,19). გრძნეულებას, მეწამლეობას (11 სჯ. 18,10). არ მოკლა ჩვილი ნადრევი შობით, არცთუ ნაშობი მოაკვდინო; ნურაფერი გწადია შენი მოყვასისა (გამოსვლ. 20,17; სჯ. 5,21).

3. ნუ მისცემ ამაო ფიცს (მათე 5,33), ცრუდ ნურავის დაემოწმები (გამოსვლ. 20,16; 11 სჯ. 5,20), ნუ ბოროტმეტყველებ (მათე 15,4), ნულარ გახსოვს ცუდი (იგავ. 12,28).

4. ნუ იქნები ორგული და ორენოვანი (ზირ. 5,9; 5,14; 6,1), რადგანაც ორენოვნება მახეა სიკვდილისა (ტობ. 14,10; ფს. 17,6; იგავ 14,27; 21,6).

5. ნუ იქნება შენი სიტყვა ცრუ და ლიტონი, არამედ - საქმით აღსავსე.

6. ნუ იქნები ნაყროვანი, ხარბი, პირმოთნე, მზაკვარი, ანდა გოროზი. ნუ განიზრახავ ბოროტს შენი მოყვასისათვის.

7. არ შეიძულო არცერთი კაცი; ერთნი ამხილე, მეორეთათვის ილოცე. სხვანი კი შეიყვარე შენს სულზე მეტად.

III. 1. შვილო ჩემო, განემორე ყოველგვარ სიავეს და ყოველივეს, რაც მისი მსგავსია.

2. ნუ განრისხდები, რადგან რისხვა დაღუპვისაკენ წაგიძღვება; ნუ იქნები შურიანი, ნურც მოკამათე, ნურც გულმწყრალი. ყველა მათგანი სიკვდილს შობს.

3. შვილო ჩემო, ნუ აღივსები გულისთქმით, რადგანაც გულისთქმა სიძვისაკენ წაგიძღვება; ნუ იქნები ურცხვადმეტყველი, ნურც ურცხვადმჭკრეტი, რადგანაც მათგან ჩნდება მრუშობა.

4. შვილო ჩემო, ნუ იქნები ფრინველთგრძნეული, რადგანაც იგი კერპმსახურებისაკენ გიწინამძღვრებს; ნუ შელოცავ, ნუ ვარსკვლავთმეტყველებ, ნუ განწმედ⁷, ნურც ისურვებ, იხილო ეს ყოველივე ანდა ისმინო მათთვის. კერპმსახურებას შობენ ისინი.

5. შვილო ჩემო, ნუ იცრუებ, რადგანაც სიცრუე ქურდობისაკენ მიგიძღვება; ნუ იქნები ვერცხლისმოყვარე, ნურც ცუდმედიდი, რადგანაც მათგან ქურდობა ჩნდება.

6. შვილო ჩემო, ნუ დრტვინავ, რადგანაც დრტვინვა ავსიტყვაობისაკენ გიწინამძღვრებს. ნუ იქნები თავმომწონე, ბოროტმზრახველი, რადგანაც მათგან ავსიტყვაობა იბადება.

7. იყავი მშვიდი, რადგანაც „მშვიდთა დაიმკვიდრონ ქვეყანა“ (ფს. 36,11; მათე 5,5).

8. იქმენ სულგრძელი, გულმოწყალე, უბოროტო, წყნარი, კეთილი; მარადის ძრწოდე იმ სიტყვათაგან, რომლებიც გესმა (ეს. 66,2).

9. ნუ აიმაღლებ თავს; ნურც კადნიერებას მისცემ შენს სულს. თავმოთნეებს ნუ შეერთებ შენი სული; მართალია და მდაბალთა შორის იმყოფებოდე.

10. ყველაფერი, რაც შეგემთხვა, მიითვალე, როგორც კეთილი და იცოდე, რომ ღვთის გარეშე არარა ხდება.

IV. 1. შვილო ჩემო, ვინც ღვთის სიტყვას გიქადაგებს, მოიხსენე იგი დღეცა და ღამეც; პატივი მიაგე მას როგორც უფალს: სადაც მეუფება იქადაგება, იქვეა უფალიც.

2. დღითიდღე ეძიე პირნი წმიდათანი⁸, რომ შვება მოგცეს მათმა სიტყვებმა.

3. ნუ ქმნი განხეთქილებას; დაამშვიდე მოდავეები; სიმაართლით საჯე და ნუ მიიღებ ისეთ სახეს, თითქოს ამხილებ ცთომათა გამო⁹.

4. ნუ იეჭვებ, ასე იქნება, თუ არა¹⁰.

5. ნუ გაშლი ხელებს, რათა მიიღო, და ნუ შეკრავ რათა არ გასცე (ზირ. 4,31).

6. თუკი მას გასცემ, რაც შენი ხელით მოიპოვე, გამოისყიდი შენსავე ცოდვებს.

7. გაცემის ჟამს ნუ შეეჭვდები და ნუღარ დრტვინავ, როდესაც გასცემ; შეიცნობ მას, ვინც კეთილად მოგიზღავს კუთვნილს (იგავ. 19,17).
8. ნუ გააბრუნებ გაჭირვებულს (ზირ. 4,5). შენსავე მოძმეს უწილადე ყოველივე; არკი უთხრა: ჩემია ეს ყველაფერი. თუ ზიარნი ხართ უკვდავებაში, რამდენად უფრო მოკვდავთა შორის?
9. ხელს ნუ ააღებ შენს ძეს თუ ასულს; სიყრმიდანვე შეასწავლე მათ შიში ღვთისა.
10. მონას თუ მხევალს, რომლებიც იმავ ღმერთს სასობენ, გამკაცრებით ნუ უმბრძანებლებ, რომ არ დაკარგონ ზენა ღვთის შიში, რადგან ღმერთი მათთან მოდის ვისი სულიც თვით შეამზადა, პირისპირ კი არავის უხმობს¹¹.
11. თქვენ კი, მონებო, კრძალვით და შიშით მორჩილებდეთ თქვენსავე უფალთ, ვით სახეს ღვთისას¹².
12. გმულდეს ყოველი პირმოთნეობა, ყოველივე, რაც ართნავს უფალს.
13. არ დაივიწყო უფლის მცნებები და რაც მიიღე, დაიმარხე; არცრა შემატო, არცრა დააკლო (11 სჯ. 4,2; 13,1).
14. ეკლესიაში აღიარე ცთომანი შენი; ბოროტი გულით ნუ შეხვალ ლოცვად. აი, ეს არის გზა სიცოცხლისა.

V. 1. სიკვდილის გზა კი ამგვარი არის: უპირველესად, ბოროტია ეს გზა და წყევლით აღსავსე: მკვლელობა, მრუშობა, გულისთქმა, სიძვა, ქურდობა, კერპმსახურება, გრძნეულება, მეწამლეობა, ტაცება, ცრუმოწმეობა, პირმოთნეობა, ორგულობა, მზაკვრობა, ამპარტავენება, სიავე, თავმოთნეობა, ნაყროვანება, ურცხვადმეტყველება, მოშურნეობა, კადნიერება, გოროზობა, მედიდურობა, უკრძალველობა.

2. კეთილთა მდევნელნი, ჭეშმარიტების მოძულენი, სიცრუის მოყვარულები, რომლებსაც საზღაური სიმართლისა ვერ შეუცნიათ; განელტვიან სიკეთეს და მართლმსაჯულებას; კეთილის წილ სიბოროტეს ეშურებიან. შორს არის მათგან სიმდაბლე და მოთმინება; ამაოების მოყვარულნი მისაგებელს განიშორებენ; არ იწყალებენ დაცემულებს, არ ზრუნავენ დამაშვრალთათვის, ვერ შეუცნიათ შემოქმედი;

ჩვილთა მკვლელები, რომლებიც უკუმიაცევენ მათდამი მთხოვნელს; ცოდვით სავსენი ჭირვეულებს შეაურვებენ, მდიდრებს იცავენ, არასაქმოსნებს ურჯულოდ სჯიან. განშორდით, შვილნო, ყველაფერს ამგვარს.

VI. 1. გაფრთხილდი, ვინმემ არ აგაცდინოს გზას მოძღვრებისას. ღვთის გარეშე გასწავლის იგი.

2. თუკი ძალგიძს, რომ სრულად იტვირთო უფლის უღელი, სრული იქმნები (მათე 11,29). თუ ეს არ ძალგიძს, რაც ძალგიძს ის ქმენ.

3. ხოლო ჭამადი, როგორც ძალგიძს, ისე იტვირთე. კერპშეწირულს ფრიად ეკრძალე, რადგანაც - მსახურებაა მკვდარი ღმერთების (საქმე 15,29).

VII. 1. ნათლისღებისათვის

ასე მონათლეთ: როცა წარმოთქვამთ ყველაფერს ამას, სახელითა მამისა, ძისა და სულიწმინდისა მდინარი წყლით¹⁴ ნათელი ეცით. (შდრ. მათე 28,19).

2. თუ არა გაქვს მდინარი წყალი¹⁴, მონათლე სხვა წყლით. თუკი ვერ ძალგიძს, რომ ცივში იყოს, თბილში მონათლე.

3. თუ არც ერთი გაქვს, არც მეორე, სამგზის დაასხი წყალი სახელითა მამისა, ძისა და სულიწმინდისა (შდრ. მათე 28,19)

4. ნათლისღებამდე უნდა იმარხულონ ნათლისმცემელმაც და ნათლულმაც, ასევე სხვებმაც, თუკი ძალუძთ. ნათლულს უბრძანე, იმარხულოს ერთი-ორი დღე.

VIII. 1. პირმოთნეთა¹⁵ მარხულობას ნუ დაემთხვევით. მათი მარხვა ორშაბათსა და ხუთშაბათს ხვდება; თქვენ იმარხულეთ ოთხშაბათსა და პარასკევს.

2. ნუ ილოცებთ ისე, როგორც პირმოთნეები, არამედ როგორც უფალმა ბრძანა სახარებაში, ასე ილოცეთ:

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცასა შინა¹⁶, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცასა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა. პური ჩვენი არსობისა¹⁷ მომეც ჩვენ დღეს და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მოვუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა, და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან (მათე 6,9 - 13; ლკ 11,2-4). რამეთუ შენი არს ძალი და დიდება, უკუნითი უკუნისამდე!

3. დღეში სამგზის ილოცეთ ასე.

IX. 1. ევქარისტისათვის:

ასე მაღლობდეთ:

2. უპირველესად, სასმისის გამო: გმაღლობთ, შენ, მამაო ჩვენო, დავითის შენი მსახურის¹⁸, წმიდა ვენახისათვის, რომელიც გაგვიცხადე შენი ძის¹⁸, იესუს მიერ. დიდება შენდა უკუნისამდე!

3. პურის განტეხვისათვის: გმაღლობთ შენ უფალო, მამაო ჩვენო სიცოცხლისა და ცოდნისა გამო, რაც გაგვიცხადე შენი ძის¹⁸ იესუს მიერ. დიდება შენდა უკუნისამდე!

4. როგორც ეს პური, მთების ზემოთ მიმოფანტული, შეიკრიბა და ერთი გახდა, ამგვარადვე შეიკრიბოს კიდით-კიდე ეკლესია შენი სასუფეველში, რამეთუ შენი არს დიდება და ძალი იესუ ქრისტეს მიერ უკუნისამდე!

5. არავინ ჭამოს, არავინ შესვასთქვენეული ევქარისტია¹⁹. თუ არა იმან ვინც ნათელილო უფლის სახელით. ამის შესახებ თქვა უფალმა: „ნუ მისცემთ ძალლებს მას, რაც წმინდაა“ (მათე 76)

X. 1. ავსების²⁰ შემდეგ ასე მაღლობდეთ:

2. გმაღლობთ შენ, წმიდაო მამაო, შენი წმიდა სახელის გამო, ჩვენს გულეებში რომ დაამკვიდრე; - ცოდნის, რწმენის, უკვდავების გამო, რაც გაგვიცხადე შენი ძის იესუს მიერ. დიდება შენდა უკუნისამდე!

3. შენ, უფალო ყოვლისმპყრობელო, დაბადე ყოველივე სახელისა შენისათვის საზრდელი და სასმელი მიანიჭე ადამიანებს, რათა იშვებდნენ და შენ გამდლობდნენ; ჩვენ კი მოგვმადლე სულიერი საზრდელ-სასმელი, და საუკუნო სიცოცხლე, შენი ძის, იესუს მიერ!

4. გამდლობთ შენ ყველაფრისთვის, რადგანაც ძლიერ ხარ შენ! დიდება შენდა უკუნისამდე!

5. მოიხსენე, უფალო, ეკლესია შენი და იხსენ იგი ყოველგვარი ბოროტისაგან, შენს სიყვარულში სრულყავი იგი და წმიდაქმნილი ოთხივე ქარისგან შემოკრიბე სასუფეველში, რომელიც მასვე განუშზადა; რამეთუ შენი არს ძალი და დიდება უკუნისამდე!

6. მოვიდეს მადლი და გარდავიდეს ეს სამყარო; ოსანა ღმერთსა დავითისა (მათე 21,9; 21,15)! თუკი წმინდაა ვინმე, მოვიდეს! და თუ არ არის - შეინანოს! მარანათა (1 კორ. 16,22)! ამინ!

7. წინასწარმეტყველთ ნება დართეთ, აღავლინონ სამადლობელი, რამდენიც სურდეთ.

XI. 1. ვინც თქვენთან მოვა და გასწავლით ყველაფერ იმას, რაც ზემოთ ითქვა, მიიღეთ იგი.

2. იქნებ მომღვარი თვით მიიქცეს სხვა სწავლებისკენ. თუ თქვენ წარწყმედას ცდილობს იგი, არაფერი ისმინოთ მისი, მაგრამ თუ სურს, კიდევ უფრო შეგემატოთ სიმართლე და ცოდნა უფლისა, შეიწყნარეთ, როგორც უფალი.

3. მოციქულებისა და წინასწარმეტყველების მიმართ სახარების მცნების თანახმად იმოქმედეთ.

4. ყოველი მოციქული, ვინც თქვენთან მოვა, შეიწყნარეთ, როგორც უფალი.

5. არ დარჩება იგი ერთ დღეზე მეტად (თუ საჭიროა - მომდევნო დღესაც), და თუ სამი დღით დაყოვნდება, ცრუწინასწარმეტყველი ყოფილა იგი.

6. როცა დაგტოვებთ მოციქული, არაფერი წაიღოს საგზლად, გარდა პურისა; თუ ვერცხლს მოითხოვს, ცრუ წინასწარმეტყველი ყოფილა იგი.

7. ნუ გამოცდით და ნუ განსჯით წინასწარმეტყველს, როდესაც სულის მიერ გემეტყველებათ, რადგანაც ყოველი ცოდვა მიეტევება კაცს, ეს ცოდვა კი არ მიეტევება (მათე 12,31).

8. ყველა, ვინც სულის მიერ მეტყველებს, წინასწარმეტყველი ვერ იქნება, თუ უფლის წესებს არ ფლობს იგი²¹. სწორედ წესთაგან შეიცნობა ცრუწინასწარმეტყველი და წინასწარმეტყველი.

9. ყოველმა წინასწარმეტყველმა, რომელმაც სულის მიერ განაწესა ტრაპეზი, არ ჭამოს მისგან; და თუ შეჭამს ცრუწინასწარმეტყველი ყოფილა იგი.

10. ყოველი წინასწარმეტყველი, რომელიც ჭეშმარიტებას ასწავლის, მაგრამ თავად არ მოქმედებს ისე, როგორც ასწავლის, ცრუწინასწარმეტყველია იგი.

11. თქვენ კი ნუ განსჯით იმ გამოცდილსა და ჭეშმარიტ წინასწარმეტყველს, რომელიც ეკლესიის ამქვეყნიური საიდუმლოს თანახმად მოქმედებს²². მაგრამ არავის ასწავლის იმას, რასაც თავად იქმს. ღვთისაგან განისჯება იგი; ამასვე შვრებოდნენ ძველი წინასწარმეტყველებიც.

12. ვინმემ რომ გითხრათ სულის მიერ: „მომეცით ვერცხლი“, ან სხვა ამგვარი, არაფერი ისმინოთ მისი; ჭირვეულთათვის მისაცემად თუ გეტყვით ამას, ნუ განიკითხავთ.

XII. 1. ვინც თქვენთან მოვა უფლის სახელით, შეიწყნარეთ; შემდეგ გამოცდით მას და შეიცნობთ, რადგანაც იცით თქვენ გარჩევა მარჯვენისა და მარცხენისა.

2. თუკი მოსული მგზავრია ვინმე, შეეწიეთ, როგორც შეგეძლოთ, არ დაყოვნდება იგი თქვენთან, ან თუ დასჭირდა, დაიხანებს ორი-სამი დღე.

3. თუკი ისურვებს თქვენთან ყოფნას და თუ ხელობაც ეხერხება, იშრომოს და ისე ჭამოს.

4. თუკი არა აქვს რამ ხელობა, გონივრულად განჭვრიტეთ მისთვის: არავინ იყოს ქრისტიანი თქვენს შორის უქმად.

5. თუ არ ისურვებს ამგვარად ყოფას, ქრისტეს მოვაჭრე ყოფილა იგი. ეკრძალებოდა მას.

XIII. 1. ყველა ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი, რომელიც თქვენთან დამკვიდრებას მოისურვებს, ღირსია თავისი საზრდელისა (შდრ. მათე 10,10; 1 ტიმ. 5,18).

2. ასევე, ჭეშმარიტი მოძღვარი, როგორც მუშა - კი, ღირსია თავისი საზრდელისა.

3. რასაც კი შეკრებთ საწნახელში თუ კალოზე, საქონლის ჯოგში თუ ცხვრის ფარაში, წინასწარმეტყველთ მიუბოძეთ პირველნაყოფი. მღვდელმთავრები არიან ისინი თქვენთვის.

4. თუკი არა გყავთ წინასწარმეტყველი, უბოძეთ გლახაკთ.

5. თუ პურს მოიწევ, გამოიღე პირველნაყოფი და მცნებისამებრ გაეცი იგი.

6. როცა თავს ახდი ღვინის ჭურჭელს ანდა ზეთისას, პირველთავი გამოიღე და უბოძე წინასწარმეტყველთ. ვერცხლის ფულის, სამოსელის, მთელი ქონების პირველთავი ისე აიღე, როგორც ისურვებ და გაეცი მცნების თანახმად.

XIV. 1. უფლის კვირადღეს შეიკრიბეთ, განტეხეთ პური და აღავლინეთ სამადლოზელი²³, აღიარეთ შეცოდებანი რომ წმინდა იყოს მსხვერპლი თქვენი.

2. ვინც ექიშპება თავის მოყვასს, ვიდრე დაცხრება, ნუ მოვა თქვენთან, რომ არ შებილწოს მსხვერპლი თქვენი.

3. უფალმა ეს თქვა: :ყოველ ადგილას და ყოველ ჟამს შემომწირეთ მე წმიდა მსხვერპლი. მეუფე ვარ დიდი, - ამბობს უფალი - სახელი ჩემი საკვირველია წარმართთა შორის“. (მალ. 1,11).

XV. 1. დაადგინეთ თქვენთვის ეპისკოპოსები და დიაკვნები, ღირსნი უფლისა, კაცნი მშვიდნი და უვერცხლონი, ჭეშმარიტნი და გამოცდილნი. რომ წინასწარმეტყველთა და მოძღვართა ლიტურგია ამსახურონ მათაც თქვენს შორის.

2. არ მოიძაგოთ ისინი, რადგანაც თქვენს მიერ წინასწარმეტყველთა და მოძღვართა დარად არიან პატივდებულნი²⁴.

3. ამხილეთ ერთურთი, არა რისხვით არამედ დაწყნარებით, როგორც თქმულა სახარებაში. ხმა არ გასცეთ მას, ვინც სხვას აცდენს; არც არაფერი ისმინოთ მისი, ვიდრე თვით არ მოინანიებს.

4. თქვენი ლოცვები, მოწყალეზანი და ყველაფერი, რასაც შვრებით, იმგვარად ქმენით, როგორც უფალმა დაგვიწესა სახარებაში²⁵.

XVI. 1. იფხიზლეთ თვენი ცხოვრებისათვის. ნუ ჩაქრება თქვენი სანთლები, ნურც სარტყლები შემოგერღვევათ (ლკ. 12,35); განემზადენით! არავინ იცით, როდის მოვა უფალი ჩვენი (მათე 24,42).

2. ხშირად და ხშირად შეიკრიბეთ; გამოძიეთ უმჯობესი თქვენი სულისა. ვერაფერს გარგებთ თქვენი რწმენის მთელი წინდა დრო, თუ არ იქნებით სრულყოფილნი ბოლო ჟამისთვის.

3. ბოლო დღეებში ცრუწინასწარმეტყველები და გამხრწნელები გამრავლდებიან; შეიცვლებიან ცხვრები მგლებად, სიყვარული კი სიძულვილად გადაიქცევა (მათე 24,11 - 12).

4. განვირცობა ურჯულოება (მათე 24,12) და ერთმანეთს მოიძაგებენ; განდევნიან და გასცემენ ერთურთს (მათე 24,10). სწორედ მაშინ გამოჩნდება ქვეყნისმაცდური, როგორც ძე ღვთისა, და ჰყოფს იგი ნიშნებსა და სასწაულებს (მათე 24,24). მიწაც მის ხელებს მიეცემა. იმგვარ ურჯულოებას აღასრულებს ქვეყნისმაცდური, რაც არ ქმნილა საუკუნიდან²⁶ (შდრ. იოველ 2,2).

5. გამოცდის ცეცხლს მიეცემა კაცთა არსება. ბევრი მათგანი შეცდება და წარიწყმიდება, ხოლო ვინც რწმენით განიმტკიცდება, გამოიხსნება წყევლისაგან (შდრ. მათე 24,13; 10,22).

6. ჭეშმარიტების ნიშანდებაც სწორედ მაშინ გამოვლინდება: უპირველესად, ეს იქნება ნიშანი ცაში გავრცობისა²⁷, შემდეგ - ნიშანი საყვირთა ხმისა (მათე 24,31), ხოლო მესამე - მკვდართა აღდგომა, -

7. არა ყველასი, არამედ ისე, როგორც თქმულა: „მოვა უფალი და მასთან ერთად ყველა წმინდანი“ (ზაქ. 14,5).

8. მაშინ იხილავს სამყარო უფალს „მომავალსა ღრუბელთა ზედა ცისათა“ (მათე 24,30)...

შენიშვნები

1. შესაძლოა აქ საუბარი ეხებოდა ებრაელთა კვირეულ მარხვას (ოთხშაბათსა და პარასკევს), რაც დაზუსტებულია მომდევნო ნაწილში: იხ. თავი VIII, I (La Doctrine...p.145)

2. შდრ. „ხორციელი“ - „სხეულებრივი“.

3. „მილიონი“ - სიგრძის ერთეული = 1, 48 კილომეტრს.

4. ბოლო ფრაზა „რადგანაც ვერ ძალგიმს“, როგორც განმარტავენ, გულისხმობს შემდეგს: ჭეშმარიტი ქრისტიანი ძალადობას არ მიმართავს, არც წარმართთა სასამართლოს სთხოვს იგი დახმარებას: შესაბამისად, თუკი ვინმე რამეს წაართმევს ქრისტიანს, იგი წართმეულის უკან დაბრუნებას ვერ შეძლებს.

5. „კოდრატი“ - იგივეა რაც ლათინური „quadrans“ (=3 უნცია = 81,86 გ.)

6. შდრ. ვინც ფრინველთა ფრენის მიხედვით მკითხაობს.

7. „ნურც განმწმედი (იქნები)“ შდრ. ni aux purifications (t'adonne) - როგორც ჩანს, იგულისხმება ცეცხლით განწმედა (La Doctrine... p.153, n.7)

8. იგულისხმება წმინდანთა გარემო, წმინდანთა საკრებულო.

9. ეს არის საკმაოდ ბუნდოვანი ადგილი. შდრ. ფრ. *et tu ne feras pas acception de la personne pour corriger les fautes* საკამათოა რუსული თარგმანი: *Обличая проступки, не взирая на лицо* (Раннехристианские отцы, с. 18). აღნიშნულ ადგილას შესატყვისი უთუოდ „პირფერობას“ გულისხმობს. ხსენებული გამოთქმა უარყოფით კონტექსტში ზედმიწევნით უიგივდება ქართულ ფიგურალურ ფრაზას „ნუ მიიღებ ისეთ სახეს, თითქოს...“ საგულისხმოა, რომ ბერძნულ მწერლობაში არსებობდა ციტირებული ფრაზის საფუძველზე შექმნილი კომპოზიტი, რაც სწორედ „პირუთვნელს“ აღნიშნავს. ეს სიტყვა გვხვდება, მაგალითად იპოლიტე რომაელის სახელგანთქმულ შრომაში „უწყება ქრისტესა და ატიქრისტეს შესახებ“: „ღვთის სიტყვამ ... საკუთარი გულმოწყალება და პირუთვნელობა გამოაჩინა“. ძველ ქართულ თარგმანში შეესატყვისება „დაურიდებლად“, რაც იმავე „პირუთვნელობის“ შენაარსს შეიცავს. ლათინური თარგმანით ამავე შინაარსისაა: *minime acceptor est personarum*. ამგვარად, ვფიქრობთ „დიდაქეს“ ზემომოტანილ ფრაზაში ნაგულისხმევი უნდა იყოს სწორედ „პირუთვნელობა“.

10. ეს ფრაზა ბუნდოვანია, კრიტიკულ გამოცემაში იგი კვალიფიცირებულია, როგორც „*verset plutotenigmatique*“ (იხ. *La Doctrine...* p. 159) ფრანგული თარგმანი ასეთია: *Tu ne t'inquieteras pas de savoir ce qu'il adviendra ou non*. საყურადღებო გააზრებას გვაწვდის რუსული თარგმანი: *Не сомневайся в том, будет ли (суд Божий), твоя митаргмнелисური ჩანართი (суд Божий) ორიგინალის მიხედვით გამართლებული არ არის. როგორც ჩანს, აღნიშნულ ადგილას საუბარი ეხება იმას, რომ ღვთისაკენ მიქცეული ადამიანის ყოველი ქმედება გამსჭვალული უნდა იყოს ჭეშმარიტი რწმენით. იგი არ უნდა დაეჭვდეს, რომ ყველაფერი, რასაც აკეთებს, სასურველ შედეგს მოიტანს მისთვის. აღნიშნული ფრაზა მორწმუნეებს მოუწოდებს მთელი არსებით მიენდონ უფალს.*

11. შდრ. ფრ: *il ne vient pas pour appeler selon l'apparence, mais ceux don't it a prepare l'esprit*. იგივე აზრი გვხვდება „იოანეს აპოკრიფში“ (იხ. *W.P Hauschild, Gottes Geist und der Mensch, Munchen 1972 p.225 s. იხ La Doctrine...* p.163, n. 5)

12. შდრ. ბერძ.

13. შდრ. ბერძ.

14. პირაპირი თარგმანით ნიშნავს „ცხოველ წყალს“. დღეისათვის გარკვეულია, რომ ნათლისღებასთან დაკავშირებით აღნიშნულ შესიტყვებაში ნაგულისხმევია გამდინარე წყალი, შდრ. ფსევდო-კლემენტის სიტყვები: „...მიიყვანენ მას მდინარესთან ანდა წყაროსთან, რომელიც არის ცხოველი წყალი, რომელშიც მართალთა ხელახალი შობა აღსრულდება“ (*La Doctrine...*p.171). აქვე ხაზგასმულია ისიც, რომ ხსენებული ფრაზა თავისთავად ღრმა მისტიკური შინაარსისაა და სულიერ სამყაროს მიემართება. ამ აზრით გვხვდება ეგნატი ანტიოქიელთანაც. შდრ. გიორგი მთაწმინდელის თარგმანი: „წყალი ცხოველი ვალს ჩემ შორის შინაგან და მეტყვეს მე : მოვედ მამისა ჩემისა“ (საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1998, გვ. 623 გამოსცა ი. ბოროდამ).

15. „პირმოთენნი“ - ებრაელთა ერთ-ერთი რელიგიური სექტა; შესაძლოა უიგივდებოდნენ „ფარისეელებს“.

16. სახარებისეული მრავლობითი „ცათა შინა“ „დიდაქეში“ მხოლოდითითაა წარმოდგენილი.

17. ეს სიტყვა სახარების ქართულ რედაქციებში თარგმნილია, როგორც: „არსობისა“, „თანაარსობისა“, „სამარადისო“. შინაარსობრივად იგი ნიშნავს „დღიურს“, „ყოველდღიურს“.

18. ორიგინალში გვაქვს „პაის“, რომელიც ნიშნავს როგორც „ყრმას“, „ბავშვს“, ასევე - „მსახურს“.

19. „ეექარისტია“, საზოგადოდ სამადლობელს ნიშნავს. რადგანაც ამ შემთხვევაში იგი ტექნიკური ტერმინია (ნიშნავს იმავეს, რასაც „ზიარება“), უთარგმნელად დავტოვეთ.

20. საზოგადოდ ნიშნავს „საჭმლით ავსებას“, „დანაყრებას“, „გამდომას“. აღნიშნულ ადგილას მას სპირიტუალური შინაარსი აქვს. ქრისტეს ხორცთან და სისხლთან ზიარება დაუღვეველი სულიერი სსაზრდოთი „აღავსებს“ ზიარებულს.

21. იგულისხმება უფლისმიერი ცხოვრების წესი (შდრ. les facons de vivre du Seigneur; Нрав Господень).
22. როგორც ჩანს იგულისხმება ის საიდუმლო ეკლესიისა, რომელიც ხილულ სამყაროში არსებობს.
23. „დიდაქეს“ ეს ნაწილი საყურადღებოა პირველქრისტიანთა ყოფის შესასწავლად.
24. შდრ. ფრ. თარგ. Car ils sont parmi vous ceux qui sont honores au meme titre que les prophetes et les docteurs.
25. ძნელია ზუსტად განსაზღვრა, თუ სახარების რომელ მუხლს ეხება მითითება. შესაძლოა აქ იგულისხმებოდეს მათე 18,15).
26. იგულისხმება „დასაბამიდან“.
27. აქ წყდება ტექსტი. დარჩენილი ნაწილი მიახლოებითი სიზუსტით შეიძლება აღდგეს ცნობილი ადრექრისტიანული ძეგლის „მოციქულთა კანონების“ მიხედვით, რომელიც „დიდაქეს“ ბოლო ნაწილის ასეთ პარაფრაზს გვაწვდის: „და მაშინ მოვა უფალი - მიწისძვრის ჟამს „ღრუბელთა ზედა“ (I თეს. IV, 16) სამეუფეო ტახტზე ანგელოზთა შორის, რომლებიც მისი ძალისაგან არიან გვერდით (იქნება); და განსჯის იგი ქვეყნის-მაცდურ ეშმაკს და საქმის მიხედვით მიაგებს ყველას(შდრ. მათე 16,27); ნაშინ განიდევნება ყველა ბოროტი საუკუნოსატანჯველში, ხოლო მართალნი საუკუნო ცხოვრებაში შევლენ (მათე 25, 46), და დაიმკვიდრებენ მას, რაც „თუალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა ნოუკდა, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყურეთა თვსთა“ (I კორ. 11,9) და განიხარებენ ღვთის სასუფეველში, რომელიც არის იესუ ქრისტეს შორის“.

თარგმნა და კომენტარები დაურთო ე. ჭელიძემ

„დიდაქეს“ შესახებ

ადრექრისტიანული პერიოდის ძეგლი

უფლის მოწამეთა ავტორობით პატივდებული შრომა „მოდვრება თორმეტი მოციქულისა“

ღვთისათვის დადგენილად ითვლება რომ ეს ძეგლი მოციქულთა ეპოქას ეკუთვნის და წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს „ახალი აღთქმიდან“ აპოსტოლურ მამებამდე.

საეკლესიო მამათაგან „დიდაქეს“ ერთ-ერთი უადრესი გამოყენება გვაქვს წმ. იუსტინე მარტვილელთან (II საუკუნის შუა წლები) მის „პირველ აპოლოგიაში“, შემდეგ წმ. თეოფილე ანტიოქიელთან (II საუკუნის II ნახევარი) მის შრომაში „ავტოლიკესადმი“. განსაკუთრებით საინტერესოა ცნობილი ღვთისმეტყველის კლიმენტი ალექსანდრიელის (II –III საუკუნეები) დამოწმება, რადგან ეს უკანასკნელი „დიდაქეს“ სახელდება „წერილად“, ანუ ბიბლიად. აი, ეს ადგილი: „უსამართლობას სჩადის ის, ვინც ბარბაროსთაგან შეითვისებს რასმე, შემდეგ კი მას თავისეულად გამოაცხადებს, რომ ამ გზით სახელი გაითქვას. ასეთი ვინმე ეცრუება ჭეშმარიტებას და იგი წერილის მიერ იწოდება „ქურდად“, რადგან ამბობს (წერილი): შვილო ჩემო, ნუ იცრუებ, რადგან სიცრუე ქურდობისაკენ მოგიძღვება“ (იხ. კლიმენტი ალექსანდრიელი, ხალიჩები I. 20.100,4).

„წერილიდან“ მოტანილი სიტყვები არის „დიდაქეს“ ზედმიწევნითი ციტირება (იხ. „დიდაქე“ თავი 3 მუხლი 5) სხვაგან არსად გვხვდება იგი. ეს დამოწმება მნიშვნელოვანია ორი მხრივ: 1) „დიდაქე“ წოდებულია „წერილად“ (ბერძნ. „გრაფე“), რაც ამ ძეგლის მართებულობას ასაბუთებს. 2) „დიდაქე“ მოხსენიებულია ზოგადად „წერილად“, კონკრეტულად სახელდების გარეშე, რაც ცხადყოფს, რომ ის იგი დიდად ცნობილი იყო ადრექრისტიანულ ეპოქაში. ეს გასაკვირი არაა, რადგან იმ დროს ახალმოქცეული ქრისტიანები უპირველესად სწორედ „დიდაქეს“ ეცნობოდნენ.

ჩვენ გვერდს ვუვლით „დიდაქეს“ სხვა ამგვარ დამოწმებებს და აღვნიშნავთ მხოლოდ ყველაზე მთავარს. ეს გახლავთ უწმინდესი მამის, ათანასე ალექსანდრიელის მოწმობა იმის შესახებ, რომ „დიდაქე“ წარმოადგენს პირველდაწყებითი სწავლების შემცველ თხზულებას, ანუ კატეხიზმოს. ხსენებული მოწმობა გვხვდება ათანასე ალექსანდრიელის სახელგანთქმულ „სადღესასწაულო ეპისტოლეში“. კარგად არის ცნობილი, რომ ეს ეპისტოლე სჯულდებითი ხასიათისაა და მასში განსაზღვრულია, ერთი მხრივ, ბიბლიის კანონი, მეორე მხრივ პირველდაწყებითი სწავლების შემცველი ძეგლები, ხოლო მესამე მხრივ მწვალებლური თხზულებები, ანუ ერეტიკული აპოკრიფები (ძველი ქართული თარგმანით „დაფარულნი“).

აღნიშნულ ეპისტოლეში ჯერ ჩამოთვლილია „ძველი“ და „ახალი“ აღთქმის წიგნები, შემდეგ ალექსანდრიის პატრიარქი დასძენს (მოგვაქვს არსენ იყალთოელის თარგმანი): „უმეტესისა უცთომელობისათვის საჭიროდ ვსაჯე ამისიცა შეძინებად, ვითარმედ არიან სხუანიცა წიგნნი თვნიერ ამათსა არაგანკანონებულნი უკუე, ხოლო დაწერილნივე მამათა მიერ საკითხავად მათთვის, რომელნი აწლა მოუხდებოდნან და ენების დამოწაფებად და კეთილმსახურებისა სიტყვისა: „სიბრძნე სოლომონისი“ და „სიბრძნე ზირაქისი“ და „ესთერი“ და „ივდიითი“ და „ტოვისი“ და „სწავლად მოციქულთად“ წოდებული იგი და რომელსა იგი „პიმენი, ჰრქჳან“ (დიდი სჯულის კანონი გვ. 471).

რადგან აღნიშნული სიტყვები მნიშვნელოვანია, მოგვაქვს ახალქართული თარგმანი: „უფრო მეტი უცთომელობისთვის საჭიროდ მივიჩნიე იმის დამატებაც, რომ ზემოხსენებულთა გარდა (იგულისხმება ბიბლიის კანონთა წიგნები) არის სხვა წიგნებიც, არა განკანონებული, რომლებიც, აგრეთვე მამათა მიერ დაიწერა იმათ მიერ წასაკითხად, რომლებიც ახლახან შემოდიან და სურვილი აქვთ დაემოწაფონ სიტყვის (ე.ი ძე ღმრთის) კეთილმსახურებას: „სიბრძნე სოლომონისა“, „სიბრძნე ზირაქისა“, „ესთერი“, „ივდიითი“, „ტობი“, „სწავლად მოციქულთა“ წოდებული და „პიმენი“.

მოტანილი ციტატიდან „სწავლა მოციქულთა“ არის სწორედ „დიდაქე მოციქულთა“ აი შესაბამისი ბერძნული ტექსტი: „დიდაქე ტონ აპოსტოლონ“; სიტყვა „დიდაქე“ ძველქართულად ითარგმნებოდა როგორც „სწავლა“. წმინდა მამათა დროდან ცნობილია, რომ ათანასე ალექსანდრიელმა შეწყნარებულ ძეგლად და მამათა მიერ დაწერილ კატეხიზმოდ შერაცხა „დიდაქე“.

„დიდაქეს“ როგორც მართებული კატეხიზმოს აღიარება რჯულდებით განამტკიცა „დიდი სჯულის კანონმა“, რომელმაც ატანასე ალექსანდრიელის სადღესასწაულო ეპისტოლე თავის წიაღში შეაერთა. ზემორე სიტყვები არსენ იყალთოელის თარგმანით ჩვენ სწორედ „დიდი სჯულის კანონიდან“ მოვიტანეთ.

ისმის კითხვა: თუ „დიდაქე“ მართებული ძეგლია, რატომ არ არის იგი შეტანილი ბაბლიის კანონში? იმიტომ, რომ „დიდაქე“ დაწერილია არა უშუალოდ მოციქულთა, არამედ წმინდა მამათა ხელით, მაგრამ მას მოციქულთა მოძღვრება ეწოდება, რადგან ყოველივე ის, რაც ამ ძეგლშია თქმული წარმოადგენს მოციქულთა სხვადასხვა შეგონებებისა და სწავლებების კრებულს, ე.ი. ეკლესიის მამებს თვით კი არ დაუწერიათ რაიმე თავისი, არამედ მოციქულთა მოციქულთა მოძღვრებიდან და გადმოცემებიდან უცვლელად გამოკრიბეს და ახალმოქცეულთათვის ერთ კრებულად შეადგინეს პირველდაწყებით სახელმძღვანელოდ ანუ კატეხიზმოდ, ჩამოაყალიბეს ის, რაც ახალმოქცეულს ესაჭიროებოდა. ეს პირდაპირაა თქმული წმ. ათანასეს მიერ: „დაწერილნივე მამათა მიერ საკითხავად მათთვის, რომელნი აწლა მოუხდებოდნან და ენების დამოწაფებად კეთილად მსახურებისა სიტყვისა“.

პარალელისათვის შეგვიძლია გავიხსენოთ უდიდესი ავტორიტეტის მქონე ძეგლი „მოციქულთა კანონები“, რომელიც საზოგადოდ საფუძველია ქრისტიანული რჯულდებისა და ამიტომაც, როდესაც მოგვიანებით შედგა კრებული „დიდი სჯულის კანონი“, მის პირველ ძეგლად სწორედ „მოციქულთა კანონები“ შეიტანეს. ამ ძეგლის ჭეშმარიტებას, ცხადია, არავინ უარყოფს, მაგრამ არც ის არც ის არის შეტანილი ბიბლიის კანონში, რადგან „მოციქულთა კანონების“ უშუალო დამწერი არის არა რომელიმე მოციქული, არამედ მათი მოწაფე რომის პაპი წმ. კლიმენტი. ამას, სხვათაშორის, რუის- ურბნისის ძეგლისწერაც გვაუწყებს: [მოციქულთა] დიდისა კლიმენტისა მიერ დახსენეს კანონნი საეკლესიონი, რიცხვთ ოთხმეოცდახუთნი“ (დიდი სჯულისკანონი გვ. 545).

„დიდაქეს“ მართებულობას, გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, ადასტურებს ის უნიკალური ხელნაწერიც, რომელმაც აღნიშნული ძეგლი სრულად შემოგვინახა. ხელნაწერი დაწერილია 1056 წლის ივნისში. ესაა ეპოქა, როცა კათოლიკურსა და მართლმადიდებლურ ეკლესიათა შორის სულ ახლახანს მოხდა საბოლოო განხეთქილება და ბერძენი მამები დაუცხრომლად იღვწიან უადრესი საეკლესიო ძეგლების მოსაპოვებლად და შესაკრებად, რომ წყაროთმცოდნეობითად ეპაექრონ მოწინააღმდეგეს. ხელნაწერი შეიცავს ისეთ უმნიშვნელოვანეს ძეგლებს, როგორებიცაა, მაგალითად წმ. იოანე ოქროპირის „შეჯამება ძველი და ახალი აღთქმისა“, მოციქულთა მოწაფის წმ. კლიმენტი რომაელის ორი ეპისტოლე კორინტელთა მიმართ, II ს - ის დამდეგის უდიდესი მღვდელმწამის ეგნატი ღმერთშემოსილის ეპისტოლეები და სხვ.

ხელნაწერის ჭეშმარიტებას ცხადყოფს ისიც, რომ იგი გადაიწერა იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოში და იქვე ინახება დღემდე.

ამჯერად ორიოდ სიტყვით შევეხოთ იმასაც, თუ საიდან შეიქმნა აზრი „დიდაქეს“ არაჭეშმარიტების შესახებ. ეს აზრი პირველად გამოთქმულია კანონიკური და აპოკრიფულ წიგნთა იმ სიაში რომელიც უცნობმა ავტორმა სწორედ ათანასე ალექსანდრიელის სახელით გაავრცელა. ძველი დროიდანვე ცხადი გახდა, რომ ეს სია არ არის წმ. ათანასეს დაწერილი. იგი უარყო სჯულის კანონმა და ეს აზრი დაასაბუთა მეცნიერულმა კვლევამ, რის გამოც ამ სიას ყველა იხსენიებდა და იხსენიებს, როგორც „ფსევდოს“ ანუ „ცრუს“. თვით ამ ყალბ სიაშიც „დიდაქე“ უარყოფილი კი არაა, უბრალოდ მიჩნეულია „საკამათოდ“, ხოლო ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ „საკამათოდ“ ანუ ძველი ქართული „საეჭუელად“ სხვადასხვა დროს მიაჩნდვით ისეთი ძეგლიც კი, როგორიცაა „იოანეს გამოცხადება“. მაგალითად ეს ძეგლი ბიბლიის კანონიდან გამორიცხა წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველმა (იხ. დიდი სჯულის კანონი გვ. 521, სადაც დასახელებულია „ახალი აღთქმის“ ყველა კანონიკური წიგნი, გარდა „გამოცხადებისა“, ჩამოთვლის ბოლოს კი აღნიშნულია: „ამათ თჳნიერ (ე.ი. გარეშე) სხუად საკუთარ არს“. ასევე, წმ. ამფილოქე იკონიელი აღნიშნავს: „და იოანეს გამოცხადებასაცა სხუანი აღჰრაცხვენ ამათვე თანა ერთად, ხოლო საეჭუელ ჰყოფენ მას უმრავლესნი“ (იხ. „დიდი სჯულის კანონი“ გვ. 523)

ამგვარად „დიდაქეს“ მართებულობა ექვის ქვეშ დააყენა უცნობი ავტორის მიერ შედგენილმა სიამ კანონიკური და აპოკრიფული წიგნების შესახებ. თუ რა ავტორიტეტისაა ხსენებული სია, ცხადყოფს მისი ფსევდო ხასიათი. ეს ფსევდოობა, ვიმორებით, სწორედ სჯულის კანონმა დაადგინა. საქმის ვითარება ასეთი იყო: როდესაც „სჯულის კანონი“ დგებოდა, მასში, ცხადია, უნდა შეეტანათ წმ. ათანასე ალექსანდრიელის (როგორც უდიდესი მამის) რჯულებითი შრომა ბიბლიის კანონიკური, შეწყყნარებული და აპოკრიფული თხზულებების შესახებ. წმ. ათანასეს ავტორობით ცნობილი იყო ორი ამგვარი ურთიერთგანსხვავებული შრომა. 1. მისი სადღესასწაულო ეპისტოლე და 2. ზემოხსენებული ფსევდო-შრომა. ცხადია, არ შეიძლება, რომ ორივე ამ შრომის ავტორი ერთი პირი ყოფილიყო. რადგანაც მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა. „დიდმა სჯულის კანონმა“ ჭეშმარიტად შერაცხა პირველი (სადღესასწაულო ეპისტოლე), ხოლო მეორე უკუაგდო. ამ ფსევდო-შრომის ცნობა „დიდაქეს“ როგორც საკამათო თქულებების შესახებ გადავიდა აპოკრიფულ წიგნთა ზოგიერთ სიაში, რომლებიც ასევე არ შეუწყყნარებია სჯულისკანონს. უნდა აღვიშნოთ, რომ კანონიკურ და აპოკრიფულ წიგნთა ისეთი სიებით სარგებლობა, რომლებიც სჯულისკანონში არ შესულა, მეტად საფრთხილია. მაგალითად, აღვნიშნავთ გელასი პაპის ავტორობით ცნობილ სიას, რომელიც VI ს-ს ეკუთვნის. მასში აპოკრიფთა შორის ახსენიება, სხვათაშორის „მოციქულთა კანონები“, რაც ცხადია სრულიად უმართებულოა, რადგან ეს ძეგლი „სჯულისკანონის“ საფუძველს წარმოადგენს.

მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოება, რამაც ხელი შეუწყო „დიდაქეს“ მართებულობაში დაქვეებას, წმინდა წყლის მექანიკური შეცდომა (უფრო ზუსტად აღრევა) იყო. ეს აღრევა მომდინარეობს XII ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის იოანე ძონარასაგან. შეცდომა გამოიწვია ორი მსგავსი სახელწოდების მქონე ძეგლის ერთმანეთში აღრევამ. ადრექრისტიანულ მწერლობაში გავრცელებული იყო კლიმენტი რომაელის ავტორობით რვა წიგნად ცნობილი ვეებერთელა თხზულება „მოციქულთა განწესებანი“ (ბერძ. დიატაქსაიტონ აპოსტოლონ) ეს ძეგლი იხსენიება მოციქულთა 85-ე კანონში, სადაც იგი შერაცხულია უღრმესი მნიშვნელობის მქონე ძეგლად და შეტანილია „ახალი აღთქმის“ კანონში. აი, შესაბამისი ადგილი მოციქულთა 85-ე კანონისა: ხოლო ჩუენნი, ესე იგი არს, ახლისა აღთქუმისანი, - სახარებანი ოთხნი: მათესი, მარკოზისა, ლუკასი და იოანესი, პავლეს ეპისტოლენი ათოთხმეტნი, პეტრეს ეპისტოლენი ორნი, იოანესი სამნი, იაკობისი ერთი, იუდასი - ერთი, კლიმენტოას ეპისტოლენი ორნი და „განწესებანი“ თქუენ ეპისკოპოსთანი ჩემ

კლიმენტის მიერ რვათა წიგნთა შინა აღწერილი, რომელთა არა ჯერ არს ყოველთა შორის საანჯმნო-ყოფად მათ შორის მყოფთათვის საიდუმლოთა და „საქმენი“ ჩუენ მოციქულთანი (იხ. დიდი სჯულის კანონი გვ. 226)

ეს უზარმაზარი ძეგლი, რომელიც კლიმენტი რომაელს (I ს-ის მე-2 ნახევარი) დაუწერია, შემდეგში უცნობ პირებს რაღაც ახალი მასალით შეუვსიათ და ამ გზით დაუმახინჯებიათ, რის გამოც მეექვსე საეკლესიო კრების მეორე კანონმა უარყო იგი: „ხოლო ვინაითგან ამათ კანონთა შინა (იგულისხმება მოციქულთა კანონები) მცნებულ არს ჩუენდა, რადთა შევიწყნარეთ მათვე წმიდათა მოციქულთანი კლიმენტის მიერ განწესებანი“, რომელთა თან ძუელ სადმე სხუად მადიდებელთა მწვალებელთა მიერ განსარყუნელად ეკლესიისა მორყუნილნი რადმე და უცხონი კეთილად მსახურებისანი დაერთნეს სიტყუანი კეთილსა შევნიერებასა საღმრთოთა სჯულთასა დასაზნელებლად, სამართლად განყრასა ვჰყოფთ მათ „განწესებასა“ (დიდი სჯულისკანონი გვ. 372).

ზემოხსენებული ბიზანტიელი ისტორიკოსის, „იოანე ძონარას ცნობით, ზოგიერთებმა, რომლებსთვისაც უცნობი იყო თხზულება „დიდაქე მოციქულთა“, წმ. ათანასე ალექსანდრიელის სადღესასწაულო ეპისტოლეში დამოწმებული ეს ძეგლი გააიგივეს მსგავსი სახელწოდების მქონე „მოციქულთა განწესებანთა“. აი, რას გვაუწყებს ძონარა: „ამბობენ, რომ „მოციქულთა დიდაქედ“ სახელდებული თხზულება არის კლიმენტის მიერ დაწერილი „მოციქულთა განწესებანი“.

როგორც აღვნიშნეთ, „მოციქულთა განწესებანი“ არის „დიდაქესაგან“ სრულიად განსხვავებული ძეგლი, იგი მოცულობითაც უზარმაზარია და რაც განსაკუთრებით საინტერესოა, თვით შეიცავს „დიდაქეს“ ნაწილს. ძონარას კომენტარიდან მომდინარე აღრევა გადავიდა XIV ს-ის ისტორიკოსთან მათეუს ბლასტართან. შემდეგ კი XVIII – XIX ს-ის მეცნიერულ სამყაროში, როდესაც მეცნიერებისათვის ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი „დიდაქე“. ბლასტარის ცნობა შეწყნარებული იყო, მაგალითად მენეშევის მიერ, როდესაც „დიდაქეს“ სრული ტექსტი გამოვლინდა, მაშინვე გაირკვა შეცდომა და გამოიცა რა „მოციქულთა განწესებანი“, ძეგლის კომენტარებში საგანგებოდ აღინიშნა, რომ XIV ს-ის ბიზანტიელმა ისტორიკოსმა მათეუს ბლასტარმა ერთმანეთში აურია „მოციქულთა განწესებანი და „მოციქულთა დიდაქე“.

ჩვენ არა გვაქვს საშუალება უფრო განვავრცოთ მსჯელობა ისეთ უაღრესად საინტერესო საკითხზე, რაც „დიდაქეს“ ისტორიულ-თეოლოგიურ შესწავლას გულისხმობს. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ დასკვნის სახით აღვნიშნავთ:

ზემოხსენებული ძეგლი „დიდაქე მოციქულთა“ (ძვ. ქართულით „სწავლა მოციქულთა“) იყო დიდად ცნობილი თხზულება ძველბერძნულ მართლმადიდებლობაში I-XI სს-ში, რომლითაც სარგებლობდა მრავალი წმინდა მამა, რომელიც შეწყნარებულ ძეგლად აღიარა წმ. ათანასე ალექსანდრიელმა და რომელიც მამათა მიერ დაწერილ მართებულ კატეხიზმოდ შერაცხა „დიდმა სჯულისკანონმა“.

ე. ჭელიძე. ეკლესია - სძალი უფლისა. თბ. 1990 წ.